ინფორმაციის ტექნოლოგია

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, წერონისის N.208; ქ. საჩხერე, ივ. გომართელის ქ.50ა, 52

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support

დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება (9 კლასი);

მოცულობა და ხანგძლივობა: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 61 კრედიტი. „მოდულების, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურულიდაპროგრამულიპრობლემისიდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება: კვალიფიკაციის მინიჭების პირობაა სავალდებულო კრედიტის ათვისება. დააკმაყოფილოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416

დადგენილებით(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ) განსაზღვრული მოთხოვნები.

პროგრამის დასრულების შედეგ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული ორენოვანი დიპლომი დანართით.

პროგრამის მოდულები :

ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
	ზოგადი მოდულები	
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4.	მეწარმეობა 1	2
5.	სამოქალაქო განათლება	3
6.	უცხოური ენა - ინგლისური	4
	პროფესიული მოდულები	
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
6	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	1
7	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	6
8	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	6
		60